საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან კოკორაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	70	100

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

თარიღი : 09.07.2021წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის #1/138 განკარგულების საფუძველზე გამოცხადებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესაჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ლევან კოკორაშვილის

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაცია, მასთან ჩატარებული საჯარო გასაუბრება, ასევე, თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო თუ სამართლებრივი დოკუმენტები.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის თანახმად, ეფუძნება ამავე კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებულ მახასიათებლებს, კერძოდ, *პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს; დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას; პიროვნულ და პროფესიულ ქცევას; პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციას; ფინანსურ ვალდებულებას.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>** <u>მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u>

		<u>გაითვალისწინება მისი როგორც მოქალაქისა და მოსამართლის პატიოსნება და კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა და ა.შ..</u> მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ლევან კოკორაშვილი პასუხისმგებლობით ეკიდება, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და არ უფიქსირდება ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. კანდიდატი რეგისტრირებული არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში ინდივიდუალურ მეწარმედ, ასევე ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირისა და საქველმოქმედო ფონდის პატრიარქი პატრიარქთა შორის დირექტორად. კანდიდატს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული რაიმე სამართალდარღვევის ფაქტი არ უფიქსირდება. შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მას თავისი მოვალეობები და პასუხისმგებლობა სათანადოდ აქვს შეგნებული. <u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის**</u> მახასიათებელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. გამოკითხული კოლეგები და რეკომენდატორი კანდიდატს ახასიათებენ როგორც სამართლიანსა და მიუკერძოებელს. რაც შეეხება მის პოლიტიკურ თუ სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას, აღსანიშნავია, რომ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ლევან კოკორაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

		<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის</u> მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ლევან კოკორაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. ის იცავს ეთიკის შესაბამის წესებს, ამასთან, კანდიდატის რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები ხაზს უსვამენ მის თავშეკავებულობას. გასაუბრების მიმდინარეობისას მან გამოავლინა თავდაჭერილობა და ემოციების მართვის უნარი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მონაწილეობდა მხარედ სხვადასხვა სამოქალაო და ადმინისტრაციულ საქმეში. ხოლო, საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით ის დაზარალებულად არ წარმოდგენილა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ლევან კოკორაშვილი „მიმდინარე წლის მდგომარეობით არ არის ნასამართლევი, მაგრამ დეპარტამენტის ერთიან საინფორმაციო ბანკში ფიქსირდება ინფორმაცია აღნიშნული პირის მიმართ წარსულში სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მე-2 ნაწილითა და 369-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით). <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;</u> რაც შეეხება ლევან კოკორაშვილის პიროვნულ და საქმიან რეპუტაციას იურიდიულ წრეებში, კანდიდატის გამოკითხული კოლეგები და რეკომენდატორი მას აფასებენ დადებითად. რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. გამოარჩევენ მის მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებას, ობიექტურობას, სამართლიანობას, კომპეტენტურობას,

			თავშეკავებულობას და ა.შ.. რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად მიიჩნევს მის სენტიმენტალურ და მგრძნობიარე, ფაქიზ ხასიათს. თუმცა მისივე განმარტებით, ამ თვისებებს სისუსტედ არ თვლის. ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ლევან კოკორაშვილი კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. მას არ ერიცხება რაიმე სახის დავალიანება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ. მას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და არ უფიქსირდება რაიმე სახის ფინანსური ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების ფაქტი. ამდენად, არ იკვეთება ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ლევან კოკორაშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**16**	**25**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ

			<u>შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე.</u> კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის მეტნაკლებად ფლობს სისხლის და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით მატერიალურ და საპროცესო ნორმებს. თუმცა, სამართლის თეორიის, ადმინისტრაციული და კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით კანდიდატს გაუჭირდა გარკვეული საკითხების თაობაზე სათანადო მსჯელობის განვითარება. კანდიდატი მეტნაკლებად იცნობს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, თუმცა გასაუბრების მიმდინარეობისას აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას კანდიდატს არ განუხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და მიდგომა. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას დასმულ შეკითხვებს კანდიდატი პასუხებს სცემდა მოკლედ, ამასთან, ის ზოგჯერ სცდებოდა განსახილველი საკითხის ფარგლებსა და უჭირდა დასმული შეკითხვის ზუსტი გაანალიზება. გასაუბრის პროცესში განსახილველ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მისი მსჯელობა იყო ლაკონური და მოკლებული იყო სამართლებრივ დასაბუთებას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**16**	**25**	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ ნაშრომში გამოყენებული სამართლის ნორმების გამოყენების სისწორე, ასევე გამოვლენილი ანალიტიკური აზროვნების უნარი, პროფესიული გამოცდილება და ა.შ..</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებისა და საჯარო მოსმენის შეფასების შედეგად, გამოვლინდა კანდიდატის სამართლებრივი მსჯელობის უნარი. მის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები არის დასაბუთებული, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

			დასაბუთება არ არის სიღრმისეული და სათანადოდ დამაჯერებელი. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს აქვს 19-წლიანი პროფესიული გამოცდილება. ის ამჟამად არის ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. უნდა აღინიშნოს, რომ მას არ აქვს სამოსამართო გამოცდილება. საჯარო მოსმენისა და სამართლებრივი დოკუმენტის გაანალიზების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**20**	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი და ა.შ..</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომის გაცნობის შედეგად, უნდა ითქვას, რომ წერილობით თავის პოზიციას კანდიდატი აფიქსირებს ნათლად და გასაგებად. მისი მსჯელობა არის თანმიმდევრული. საჯარო მოსმენის შეფასების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანდიდატი ზეპირი კომუნიკაციის საშუალებით თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ბუნდოვნად, მისი მეტყველება უმეტესად იყო არათანმიმდევრული, ამასთან, ის ხშირად სცდებოდა განსახილველი საკითხის ფარგლებს. პერიოდულად მის საუბარში იგრძნობოდა მღლევარება. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა გამოავლინა განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.

პროფესიული თვისებები	15	15	<u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მენეჯერული უნარ-ჩვევები და ა.შ..</u> მოძიებული ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ის არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე, რასაც დადებითად აფასებენ კანდიდატის რეკომენდატორი და გამოკითხული კოლეგები.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მისი ღიაობა სიახლეების მიმართ, თვითგანვითარების უნარი, პროფესიული წვრთნების პროგრამებში მონაწილეობა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და ა.შ..</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ის საქართველოს იურისტთა ასოციაციასთან ერთად მონაწილეობდა საზოგადოებაში სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებისა და დამკვიდრების მიმართულებით რამდენიმე პროექტში. კანდიდატის მიერ პროფესიულ თუ სასწავლო შეხვედრებზე მონაწილეობის შესახებ ინფომრაცია წარმოდგენილი არ არის. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს არ წარმოუჩენია საკანონმდებლო სიახლეების, ასევე ეროვნული თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის ცოდნა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მისი თვითგანვითარებისა თუ სიახლეების მიმართ ღიაობის შეფასება.

პროფესიული აქტივობა	3	5	<u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და სხვა.</u> ლევან კოკორაშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით - 2003-2004 წლებში ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობას საჯარო სკოლაში. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად, ლევან კოკორაშვილი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას. ამასთან, არ ესწრება პროფესიულ და სასწავლო შეხვედრებს.
ქულათა ჯამი	70	100	
დასაბუთება	ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ლევან კოკორაშვილის, შეფასება განხორციელდა „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის“ 34[2] მუხლის შესაბამისად მოძიებული ინფორმაციის გაანალიზების, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში მის მიერ გამოვლენილი კომპეტენციის, პიროვნული თუ პროფესიული თვისებებისა და უნარ-ჩვევების შეჯამების შედეგად. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლით დადგენილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მივიჩნიე, რომ <u>ლოევან კოკორაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</u>. ხოლო, ამავე კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად მინიჭებულ ქულათა შეჯამებით, ლევან კოკორაშვილის ქულათა ჯამმა შეადგინა 70 ქულა.		

სახელი და გვარი: ლევან მიქაბერიძე

ხელმოწერა:

თარიღი: 09.07.2021წ.